



Funded by the European Union

**უზაღო თაჲისუფლების აღკვეთის
გამოყენება და მოხდის
პირობები საქართველოში**

**თბილისი
2009**

**უზადო თავისუფლების
აღკვეთის გამოყენება და
მოხდის პირობები
საქართველოში**

კვლევის ჯგუფი:

ცირა ჭანტურია – პროექტის კოორდინატორი – PRI

ზოია (მაია) ხასია – პროექტის ოფიცერი – PRI

სალომე ქუსიკაშვილი – ადმინისტრატორი - PRI

სარჩევი

| | |
|---|----|
| წინასიტყვაობა | 5 |
| ზოგადი ინფორმაცია..... | 9 |
| მეთოდოლოგია | 9 |
| სიკვდილით დასჯის ისტორია საქართველოში | 12 |
| უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის სასჯელის მოხდის პირობები..... | 18 |
| ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები | 46 |
| რეკომენდაციები | 59 |

წინასიტყვაობა

დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორწლიანი პროექტი - „გლობალური მოძრაობა სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის“, რომელიც დაიწყო 2007 წელს და მოიცავდა სამ რეგიონს – შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი), ცენტრალურ აზიას. პროექტი, რომელიც ემსახურებოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას იმ რეგიონებში, სადაც ის ჯერ კიდევ არსებობს და განიხილავდა უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხებს იმ რეგიონებში, სადაც სიკვდილით დასჯა უკვე გაუქმებულია, განხორციელდა ასოციაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) მიერ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი არიან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები. მოცემულ ქვეყნებში დიდი ხნის წინ გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა, როგორც ევროპის საბჭოში გაწევრიანებისთვის აღებული ვალდებულება. შესაბამისად, პროექტის მთავარი მიზანი იყო უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა მდგომარეობის შესწავლა და საზოგადოების ინფორმირება მათი მდგომარეობის შესახებ.

კარგად არის ცნობილი, რომ მსჯავრდებულები, რომლებიც იხდიან გრძელვადიან სასჯელს, ან უვადოდ აქვთ თავისუფლება აღკვეთილი, ხშირად იმყოფებიან უფრო ცუდ მდგომარეობაში, ან ხდებიან განსხვავებული მოპყრობის სუბიექტები სხვა

კატეგორიის მსჯავრდებულებთან შედარებით, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, სადაც სასჯელადსრულების დაწესებულებები მუდმივ განვითარებას განიცდიან და სადაც, ამ მხრივ, ევროპის ქვეყნებთან შედარებით ნაკლები საშუალებებია.

სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირების მდგომარეობასთან და უფლებებთან, ძალიან სერიოზულია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ამ რეგიონის ციხეებში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირები განიცდიან საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობის ნაკლებობას. პატიმრობის პერიოდში არ არსებობს სარეაბილიტაციო და სხვა ტიპის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში განსხვავებულია, მაინც არის მრავალი მსგავსება. მთავარი მსგავსება არის ციხეში არსებული მდგომარეობის პრობლემატურობა, თუმცა რეაბილიტაციის არარსებობა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობების სიმცირე, ასევე საერთო პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად სირთულეებისა, სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არსებობს ასევე მრავალი დადებითი ცვლილება და ძალისხმევა. ძლიერი

ციხის სადამკვირვებლო კომისიები და მათი ღონისძიებები, საერთაშორისო ტრენინგების შესაძლებლობა და გამოცდილების გაზიარება, კანონმდებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გაუმჯობესება ზრდის გამჭვირვალობას და ციხეების ყოველდღიური მუშაობის ხარისხს.

წინამდებარე გამოცემა „უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება და მოხდის პირობები საქართველოში“ მომზადებულია უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის მიმოხილვის და მისი საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით.

გამოცემა არ არის, უბრალოდ, სამეცნიერო კვლევა – ის შექმნილია სიკვიდილით დასჯისა და სამხრეთ კავკასიაში მისი გაუქმების ისტორიის შეჯამების მიზნით, ასევე დღეისათვის არსებული, უვადო თავისუფლებააღკვეთის გამოყენებისა და მოხდის პირობების აღწერის მიზნით. გამოცემას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რადგან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების აზრები და შეხედულებები გამოცემის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტი ეხებოდა საკმაოდ მგრძობიარე, მაგრამ ამასთანავე მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შორის ყველა ასახულია გამოცემაში.

„PRI“-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი გამოხატავს მადლიერებას მისი პარტნიორების, სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების

მიმართ, მათ მიერ გაწეული თანამშრომლობისთვის და ზემოთ ხსენებულ პროექტსა და წინამდებარე გამოცემაში მათი წვლილისთვის.

რათ ქუსი

რეგიონალური დირექტორი

„PRI“-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი

ზოგადი ინფორმაცია

ინტერვიუს ჩატარების პერიოდისათვის (ივლისი-აგვისტო), 2008 წლის 18 აგვისტოს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფებოდა 74 უვადო თავისუფლებადაკეტილი პირი - 72 მამაკაცი და 2 ქალი. მსჯავრდებულები განაწილებულნი იყვნენ სამ დაწესებულებაში, კერძოდ, 71 მსჯავრდებული მამაკაცი - №6 საპყრობილეში, 1 მსჯავრდებული მამაკაცი - №7 საპყრობილეში და 2 მსჯავრდებული ქალი - ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ იმყოფებოდნენ პატიმრები, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილით დასჯა და მოგვიანებით შეეცვალათ სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის ინტერვიურებული იყო 20 მსჯავრდებული მამაკაცი და 2 მსჯავრდებული ქალი. ინტერვიუზე მოწვეულ პირთაგან უარი მხოლოდ ერთმა მამაკაცმა მსჯავრდებულმა განაცხადა. ინტერვიურება ხორციელდებოდა ყველა მსჯავრდებულთან კვლევის ჯგუფის წარმომადგენელთა პირადი შეხვედრით. გარდა კვლევის ჯგუფის წარმომადგენლებისა, ინტერვიურებას ესწრებოდა რუსთავის №6

საკპრობილის ფსიქოლოგი. სხვა თანამშრომლები ინტერვიურების პროცესს არ ესწრებოდნენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მთელი ინტერვიუს პროცესში დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც მოჰყავდა მსჯავრდებული შეხვედრაზე, იმყოფებოდა მეორე ოთახში. ოთახებს შორის არსებული კარი ღია იყო. შეუძლებელია იმის თქმა თუ რამდენად დადებითად ან უარყოფითად მოქმედებდა მისი იქ ყოფნა ინტერვიუს პროცესზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გარდა ერთი შეხვედრის დღისა, ეს თანამშრომელი იყო სოციალური სამსახურის წარმომადგენელი, ერთ შემთხვევაში ის იყო უსაფრთხოების სამსახურის მუშაკი.

ინტერვიურების პროცესში ხორციელდებოდა ურთიერთთანამშრომლობა დაწესებულების ადმინისტრაციასა და კვლევის ჯგუფის წარმომადგენლებს შორის, ასევე მოხდა ინტერვიურება სასჯელაღსრულების დაწესებულების ყველა იმ სამსახურის ხელმძღვანელთან, რომელსაც სამსახურებრივად პირადი შეხება აქვს მსჯავრდებულთან (დაწესებულების დირექტორი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, რეჟიმის სამსახურისა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლები). თანამშრომლობა ორივე დაწესებულების ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან იყო კონსტრუქციული და მუშაობის პროცესში რაიმე შეფერხებას ან ხელისშემშლელი გარემოებების არსებობას ადგილი არ ჰქონია.

კვლევის პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო ინტერვიურება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და იურიდიული კომიტეტების, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული ისეთ სასამართლო პროცესში, სადაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელი განისაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შეხვედრებთან დაკავშირებით, წერილები წინასწარ გადაეგზავნა აღნიშნულ სტრუქტურებს, რომელთაგანაც გამოხმაურება ჰქონდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, უზენაეს სასამართლოს, გენერალურ პროკურატურას. სააპელაციო სასამართლოს სხვა ინსტანციებიდან გამოხმაურება არ ყოფილა. გამოხმაურების მიხედვით, შეხვედრები დაიგეგმა აგვისტოს თვეში, თუმცა საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შეხვედრები გადაიდო გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან შეხვედრისა, რომელიც შედგა 2008 წლის 22 აგვისტოს. შეხვედრა და ინტერვიურება შედგა მოსამართლე ლევან მურუსიძესთან¹.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეხვედრა ეთხოვა დეპარტამენტის თავმჯდომარის

¹ ინტერვიუ ჩატარდა 2008 წლის 22 აგვისტოს.

მოადგილეებს და სოციალური სამსახურის უფროსს. შეხვედრა შედგა თავმჯდომარის მოადგილესთან სოციალურ საკითხებში და სოციალური სამსახურის უფროსთან. რაც შეეხება თავმჯდომარის I მოადგილეს, შეხვედრის თხოვნას არ გამოხმაურებია. შეხვედრის შესახებ თხოვნას ასევე არ გამოხმაურებია იუსტიციის სამინისტრო.

კვლევის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ეროვნული კანონმდებლობის დამუშავება და მისი განხილვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კვლევის შედეგების განხილვის მიზნით, ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით.

სიკვდილით დასჯის ისტორია საქართველოში

სიკვდილით დასჯა, საკანონმდებლო დონეზე, გაუქმდა 1997 წელს. გაუქმების პროცესი ხორციელდებოდა შემდეგი ეტაპების გავლით, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივნისის № 387 ბრძანებულებით შეწყვეტულ იქნა 54 მსჯავრდებული, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა - „სიკვდილით დასჯა“. მათ აღტერნატიული სასჯელის ზომად განესაზღვრათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი №1069-IX „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების –

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“. აღნიშნულმა კანონმა, გაურკვევლად, მაგრამ მაინც, გააუღერა ისეთი სახის სასჯელი, როგორც იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც, როგორც სასჯელის ზომა, შემოიღო 1999 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის მაისის თვიდან. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, მასში მხოლოდ 2006 წელს შევიდა ცვლილება, რომელმაც II თავის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით: „საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებული იყო 1960 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ და ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან, ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, კოდექსის 24-ე მუხლი განსაზღვრავდა თუ რა შემთხვევებში შეეძლოთ მოსამართლეებს გამოეყენებინათ სასჯელის აღნიშნული ზომა. მუხლი ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის - დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის

დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში – აგრეთვე ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

მოცემული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ნუსხა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას – იყო შემდეგი:

1. თავი I - დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ:

- მუხლი 65 „სამშობლოს ღალატი“;
- მუხლი 66 „ჯაშუშობა“;
- მუხლი 67 „ტერორისტული აქტი“ (IV ნაწილი);

- მუხლი 68 „ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ“ (I ნაწილი);

- მუხლი 69 „დივერსია“;

- მუხლი 78 „ბანდიტიზმი“;

- მუხლი 78¹ „მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მუშაობაში“ (III ნაწილი).

2. თავი II - დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ:

- მუხლი 104 „განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ მდგომარეობაში“.

ყველა მსჯავრდებული, რომელსაც განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა, განთავსებული იყო თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში (შემდგომში №5 საპყრობილე), საკნებში, რომლებიც მდებარეობდა აღნიშნული საპყრობილის სარდაფის ტიპის (მიწისქვეშა) ნაწილში. მცირე ზომის, ნესტიანი საკნები, რომელთაც არ ჰქონდა ფანჯარა და მასში ვერ აღწევდა ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, ძირითადად, ერთადგილიანი იყო, თუმცა მათი უკმარისობის გამო, ერთ საკანში ორი მსჯავრდებულის მოთავსება დაშვებული იყო. სიკვდილმისჯილ მსჯავრდებულებს მოქმედი

კანონმდებლობით არ ეკუთვნოდათ პაემანი და გასეირნება. სიკვდილმისჯილები 13:00 საათიდან 15:00 საათამდე შეჰყავდათ მედდასთან, რომლის სამუშაო ოთახი განთავსებული იყო ამავე კორპუსის (სართულის) ტერიტორიაზე. ეს გაყვანა უფრო აქცენტირებული იყო იმაზე, რომ მსჯავრდებულის სასჯელის აღსასრულებლად გაყვანა მოულოდნელი მოვლენა არ ყოფილიყო და არ გამოეწვია მსჯავრდებულებს შორის დაუმორჩილებლობა. აღნიშნული მსჯავრდებულები იკვებებოდნენ დღეში სამჯერ დაბალი კალორიულობით.

მსჯავრდებულთა (პატიმართა) სადგომად აღნიშნული საკნების გამოყენება აიკრძალა 2001 წლის 6-18 მაისს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, კერძოდ, 2002 წელს გამოქვეყნებულ CPT-ს ანგარიშში საკნები, სადაც ადრე სიკვდილმისჯილი მსჯავრდებულები იყვნენ განთავსებულნი, აღწერილი იყო შემდეგნაირად: „ერთი პატიმრის საცხოვრებელი ფართობი, ალბათ, 1,7კვ.მ-ც კი არ შეადგენდა². გარდა ამისა, საკნები ბნელი, გაუნიავებელი, ნესტიანი და უსუფთაო იყო. ზოგჯერ, ისინი ნაგვის გოტებით იყო სავსე და მათი მდგომარეობა იმდენად

² ანგარიში საქართველოს მთავრობას, საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, რომელიც განახორციელა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის შესახებ ევროპულმა კომიტეტმა 2001 წლის 6 მაისიდან 18 მაისამდე. პუნქტი 75.

სავალალო იყო, რომ ძნელად ექვემდებარებოდა აღწერას“. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ ითხოვა, საქართველოს ხელისუფლებას შეეწყვიტა სარდაფის გამოყენება.

1997 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა №387 ბრძანებულება „იმ პირობა შეწყალების შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა“. აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, შეწყალებულ იქნა ყველა ის პირი, რომელიც მოცემული პერიოდისათვის მსჯავრდებული იყო და სასამართლო განაჩენის მიხედვით, განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა და ელოდებოდა სასჯელის აღსრულებას. ამავე შეწყალების აქტით, ყველა შეწყალებულ პირს სიკვდილით დასჯა შეეცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით. მოცემული პერიოდისათვის სასჯელადსრულების სისტემაში სულ იმყოფებოდა 54 ასეთი კატეგორიის მსჯავრდებული.

1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონი №1069-IX „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“, რომელმაც სასჯელის აღნიშნული ზომა საქართველოში საბოლოოდ გააუქმა. ამავე კანონით, ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და

სასჯელთა აღსრულების კოდექსებში, კერძოდ, შესაბამისი მუხლებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „სიკვდილით დასჯით ან ...“. სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების შემდეგ, 1999 წლის 22 ივლისს შემუშავებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 2000 წლის ივნისიდან ძალაში შევიდა.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის სასჯელის მოხდის პირობები

სისხლის სამართლის საქმის წარმოება

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებაში განთავსებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები მიეკუთვნებიან იმ მსჯავრდებულთა კატეგორიას, რომელთაც სასამართლოს მიერ 2000 წლიდან მიესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, ანუ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელშიც სასჯელის ზომად დადგენილ იქნა უვადო თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება კატეგორიას, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სასჯელის განსაკუთრებული ზომა - სიკვდილით დასჯა და შეეცვალა უვადო თავისუფლების აღკვეთით, ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულები საქართველოში სასჯელს არ იხდიან.

თუ რა სახის დანაშაულისათვის შეიძლება განესაზღვროს საქართველოს რეალობაში პირს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ამ შეკითხვას

პასუხობს რეალური მდგომარეობის შესწავლის შედეგები. კერძოდ, ისინი არიან ადამიანები, რომელთაც სასჯელი განესაზღვრათ დანაშაულისათვის „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში“ საქართველოს სსკ 109 მუხლი და ნარკოტიკული დანაშაული საქართველოს სსკ 260 მუხლის „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ დამზადება, წარმოება შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“ III ნაწილი. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომელიც ფიგურირებს განაჩენების აბსოლუტურ უმრავლესობაში. თუ რამდენად ობიექტურად იქნა გამოყენებული სასჯელის ეს ზომა, ამაზე მსჯელობა სცილდება პროექტის კომპეტენციას, მაგრამ თუ რა შეხედულება აქვს მის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ პირებს, რომელთა მიმართაც ეს სასჯელი იქნა გამოყენებული და იმ პირებს, რომელთა მიერაც იქნა გამოყენებული, ამ შეკითხვას გარკვეულწილად პასუხი გაეცა ინტერვიუების პროცესში.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ლევან მურუსიძემ³ ინტერვიუების დროს განმარტა აღნიშნული სასჯელის გამოყენების რეალური შემთხვევები და მისი დამოკიდებულება მოცემული სასჯელის გამოყენების მიმართ. მან აღნიშნა, რომ ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკას

³ ინტერვიუ ჩატარდა 2008 წლის 22 აგვისტოს.

საქართველოში განსაზღვრავს პარლამენტი, თუმცა ასეთი სახის სასჯელის გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში, ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მას გამოყენებინოს ასეთი ტიპის სასჯელი თუ პირი ადრე ნასამართლევი არ არის, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც განიხილებოდა ყაჩაღობა ჩადენილ პირთა ჯგუფის მიერ, რომელსაც მოჰყვა მძიმე შედეგი – 2 დაზარალებულის გარდაცვალება, ჯგუფიდან უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ორ იმ პირს მიესაჯა, რომელიც ადრე ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი. შეკითხვაზე რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია მოსამართლეს აღნიშნული სასჯელის გამოყენების პრეცედენტის დაშვება ქალების მიმართ, მან აღნიშნა, რომ ზოგადად, სასურველია, ასეთი სასჯელი ქალების მიმართ არ გამოიყენებოდეს, თუმცა აქვე უნდა გაავითვალისწინოთ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე.

მსჯავრდებულთა გამოკითხვის მიხედვით, აღნიშნული სასჯელის გამოყენების მიმართ დამოკიდებულება შემდეგია: ორი გამოკითხული ქალბატონიდან ერთ-ერთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის მიმართ გამოყენებული სასჯელის ზომას და აღნიშნავს, რომ იგი არაობიექტურადაა გამოყენებული, რადგანაც მიაჩნია, რომ მის საქმეში შესაბამისი მტკიცებულებები არ მოიპოვება და ასევე მისთვის განაჩენის ასლი არ ჩაუბარებიათ. რაც შეეხება გამოკითხულ მამაკაცებს, მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მის მიმართ გამოძიება და

სასამართლო იყო არაობიექტური და ამდენად, გამოყენებული სასჯელიც, შესაბამისად, არაობიექტურია. კერძოდ, არაობიექტურობის საფუძველად სახელდება სხვადასხვა გარემოებები, მაგალითად, უმრავლესობა მიუთითებს, რომ „მათ მიერ დასახელებული მოწმეები პროცესზე არ იქნენ გამოძახებული და დაკითხული“; ან „არც ერთი პრეტენზია არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა გაასაჩივრა“; „სასამართლომ არ გაითვალისწინა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის ფაქტი; ადვოკატმა მოითხოვა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული“, ერთ-ერთი გამოკითხული 1998 წელს პოლიციის განყოფილებაში მის მიმართ მომხდარ წამების ფაქტზე მიუთითებს: „პოლიციაში კბილები დამაცალეს, მცემეს და ელენე თევდორაძის⁴ ნახვა რომ მოვითხოვე, მცხეთაში გადამიყვანეს და 21 დღე მაწამებდნენ“. თითქმის ყველა გამოკითხული პირი აღნიშნავს, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ყველა მათგანის განაჩენი დატოვა უცვლელი და რომ არც ერთი მათგანი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში პროცესზე დასასწრებად გაყვანილი არ ყოფილა, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტებიც მის ამ უფლებაზე მიუთითებენ. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს „მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო სხდომებში და დაიცვას

⁴ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (მსჯავრდებულის მიერ ნახსენები პერიოდისთვის).

თავისი ინტერესები დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით“. ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „ყველა პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: ... დ) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავისი თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით“. ერთ-ერთი უვადო თავისუფლებაა დეკლარირებული ქალბატონის საქმეს ამჟამად იხილავს უზენაესი სასამართლო, კერძოდ, მოსამართლე, რომელთანაც შედგა ინტერვიუება. მოსამართლეს დაესვა შეკითხვა, თუ რატომ იხილებოდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმეები მსჯავრდებულის დაუსწრებლად, რომელმაც განმარტა, რომ ეს არ წარმოადგენს დარღვევას, რის საფუძვლადაც მიუთითა სსსკ 558-ე მუხლი „საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი“ - „საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვაში მონაწილეობს - პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული მისი შუამდგომლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით“, ამდენად აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსჯავრდებულების მოთხოვნისა თუ დამცველის შუამდგომლობისა, სასამართლოს აქვს მოქნილი მექანიზმი იმისათვის, რომ მსჯავრდებული არ დაასწროს საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესს, ანუ თუ სასამართლომ მიიღო არდასწრების გადაწყვეტილება. ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების შესახებ ევროპულ კონვენციას – მუხლი 6(1) – „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე

კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში” – და გაეროს მიერ მიღებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, მუხლი 14(დ) - „გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ მას ჰყავს დამცველი, უნდა შეატყობინონ ეს უფლება და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უსასყიდლოდ იმ შემთხვევაში, როცა არ აქვს საკმარისი სახსრები ამ დამცველის ასანაზღაურებლად“. მსჯავრდებულთა განცხადებით, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მრავალი ხარვეზი იქნა დაშვებული.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ორი გამოკითხული პირის საქმე, რომლებსაც სასამართლოს მიერ განესაზღვრათ სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთით და რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 1997 და 1998 წლებში. ორივე შემთხვევაში მათ მიერ ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას, თუმცა 1997 წლის 25 ივლისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №387 ბრძანებულება, რომლის თანახმადაც შეწყალებულ იქნა ყველა ის პირი, რომელსაც ამ პერიოდისათვის შეფარდებული ჰქონდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა და სასჯელი შეეცვალა 20

წლით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო 1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი №1069-IX „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“. 1999 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლიდან. აღნიშნულმა კოდექსმა გააუქმა 1960 წელს მიღებული კოდექსის მოქმედება. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით უკვე საქართველოში შემოდებულ იქნა სასჯელის ახალი სახე – უვადო თავისუფლების აღკვეთა. ბოლო ორი რესპონდენტის მიმართ გამოყენებულ იქნა სწორედ აღნიშნული ახალი კოდექსი და მათ მიესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მე-2 მუხლის „სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება დროში“ I ნაწილის თანახმად, „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“, ანუ ამ შემთხვევაში სს კოდექსი, რომელიც მოქმედებდა 1997-98 წლებში, ასევე მე-3 მუხლის „სისხლის სამართლის კანონის უკუძალა“ I ნაწილის თანახმად, „... სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არ აქვს“. აღნიშნულის მიუხედავად, ორივე პირის მიმართ გამოყენებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ამკაცრებდა მათ სასჯელს.

აღნიშნული სახის გადაწყვეტილება ასევე ეწინააღმდეგება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს „... არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს“.

ანკეტირების დროს მსჯავრდებულთა მიერ დასახელებული არგუმენტების მიუხედავად, რომლებიც უთითებენ არაერთგვაროვან დარღვევებზე, მათი განმარტებით, სასამართლო, პროკურატურისა და გამოძიების ორგანოები მათ საჩივრებს ან არ იხილავენ, ან ყველაფერი რჩება უცვლელად. მაგალითად, „სასამართლომ 60 შუამდგომლობიდან დააკმაყოფილა მხოლოდ 1“; „გამოძიებიდანვე მიემართავდი პირადად მე განცხადებებით, მაგრამ განცხადებები ამოიღეს პირადი საქმიდან და მათ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია“⁵.

უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პირობები საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში

მსჯავრდებული მამაკაცები, ძირითადად, განთავსებულნი არიან №6 საპყრობილის 4-6 ადგილიან საკნებში. საკნები შევსებულია, ანუ

⁵ ინტერვიუები ჩატარდა ქართველ მკვლევართა ჯგუფის მიერ 2008 წლის ივლისში.

მათში იმყოფება, შესაბამისად, 4-6 მსჯავრდებული. საკნის აღჭურვილობაში შედის საწოლი, კარადა (საკეების შესანახი), ტანსაცმლის შესანახი კარადა მსჯავრდებულებს არ გააჩნიათ. საკანში მსჯავრდებულებს ასევე აქვთ მაგიდა, სკამები, ლოგინი, თეთრეული (რომელსაც, ძირითადად, თვითონ იძენენ დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ მაღაზიაში) და შემდეგი სახეობის ჭურჭელი: პოლიეთილენის (პლასტმასის) ერთი თეფში, ერთი ჭიქა, ერთი კოვზი და ერთი ჩანგალი.

შეკითხვაზე არის თუ არა არსებული პირობები შესაფერისი იმისათვის, რომ მსჯავრდებულმა ადეკვატურ გარემოში მოიხადოს ისეთი ხანგრძლივი სასჯელი, როგორცაა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ყველა ერთნიშნად აღნიშნავს, რომ ასეთი სასჯელის მოსახდელად ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. კვლევის ჯგუფთან შეხვედრის დროს ანალოგიური პოზიცია დაიკავა სასჯელალსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციამ⁶. აღნიშნულის შეფასება უფრო მძაფრად გამოიკვეთა ბოლო ინტერვიურების დროს, როდესაც მსჯავრდებულები უკვე გადაყვანილ იყვნენ №6 საპყრობილის ახლად აშენებულ კორპუსში, რომელსაც ფანჯრებზე დამონტაჟებული აქვს ჟალუზები (ბოლო ვიზიტის დროს უკვე მოხსნილი იყო), რომელიც ფაქტობრივად არათუ ზღუდავს საკანში სუფთა ჰაერის არსებობას, ბუნებრივ განათებას და

⁶ შეხვედრა შედგა 2008 წლის 18 სექტემბერს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან და სოციალური სამსახურის უფროსთან.

ვენტილაციას, მსაჯვრდებულთა განმარტებით, საკანში არის დახუთული ჰაერი და დაბალი განათება.

ასევე უთითებენ საკნის ფართობზე, რომელიც მათი განმარტებით, „ნ-კაციანია, მაგრამ არ არის გათვლილი 6 კაცზე და ძალიან ვიწროა“; „სასიარულო ფართი არ არის, ვენტილაცია არ მუშაობს, საპირფარეშო ნახევრად ღიაა“; „ძალიან ძნელია ამ პირობებში ჩაკეტილ სივრცეში ერთი და იგივე ადამიანების ყურება, ჟალუზები დაამონტაჟეს⁷, არც განათებაა და არც ჰაერი შემოდის. ხელოვნური ვენტილაციის სისტემა გაყვანილი არ არის და ხელოვნური განათებაც არ არის საკმარისი“; აღნიშნული პირობები ეწინააღმდეგება გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-11 მუხლის ა) და ბ) პუნქტების მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, „დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის სინათლეზე, ასევე ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მოწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; ბ) ხელოვნური განათება უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის

⁷ 2008 წლის აგვისტოში, მდგომარეობის მონიტორინგის დროს, კვლევის ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ჟალუზები უკვე მოხსნილი იყო.

გარეშე“. ასევე მსჯავრდებულებს ცუდი პირობების არგუმენტად მოჰყავთ ის გარემოება, რომ იატაკი არის ე. წ. ბეტონის და განმარტავენ, რომ „ბეტონზე ცხოვრება შეუძლებელია და ჯანმრთელობისათვის სახიფათოა“.

მსჯავრდებულებს აბანოთი სარგებლობის უფლება აქვთ კვირაში ერთხელ, რაც სტაბილურია და პრეტენზიას ნაკლებად გამოთქვამენ, თუმცა რიგმა მათგანმა აღნიშნა, რომ ეს საკმარისი არ არის და უმჯობესი იქნებოდა საკანში დუშის ქონა. ევროპული ციხის წესები თავში „ჰიგიენა“, პუნქტი 19.4 განსაზღვრავს, რომ „ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში. თუ ეს შესაძლებელია დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც) ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე“.

თეთრეულით მომარაგება, როგორც აღინიშნა, პრობლემურია და მსჯავრდებულები თვითონ იძენენ თეთრეულს დაწესებულების მაღაზიაში. გაურკვეველია იმ მსჯავრდებულების მდგომარეობა, რომელსაც არ შეუძლიათ შეიძინონ ან მომავალში ვერ შეძლებენ მის შექენას. რაც შეეხება თეთრეულის რეცხვას, ყოველი მათგანი აღნიშნავს, რომ თეთრეულს თვითონ რეცხავენ და აშრობენ საკანში, რადგანაც „საერთო სამრეცხაოში გარეცხილი არადაამაკმაყოფილებელია“. რაც შეეხება

სარეცხის გაშრობას საკანში, რომელიც ისედაც უჭაერობით გამოირჩევა, დამატებით პრობლემას ქმნის მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისათვის.

მსჯავრდებულთა გასეირნება ხდება ყოველდღე ერთი საათით გარდა შაბათისა, როდესაც მათ „უტარდებათ აბანო“. თუმცა, აქაც მსჯავრდებულების განმარტებით, არსებობს გარკვეული პრობლემები, რადგანაც მსჯავრდებულები, რომლებიც ახალ კორპუსზე არიან გადაყვანილი აღნიშნავენ, რომ „სასეირნო ეზო ძალიან პატარაა“; „№6 საპყრობილეში ახალი სასეირნო ეზო ძალიან მცირეა - 3 კაცი თუ ეტევა“, მსჯავრდებულები ერთდროულად გადიან სასეირნოდ და მათი რაოდენობა ხშირად ორჯერ აღემატება სამს. საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმებისას გაირკვა⁸, რომ სასეირნო ეზოები, დაახლოებით, იგივე ზომისაა, როგორც ძველი და მასში 4-6 მსჯავრდებულის ერთდროულად ყოფნა შესაძლებლად შეიძლება ჩაითვალოს. მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნის საშუალება ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ დღეში არანაკლებ 2-3 საათი, სადაც მათ ექნებათ ვარჯიშის საშუალება.

არსებული პირობები ეწინააღმდეგება ევროპული ციხის წესებს, რომლის თავი „ვარჯიში და

⁸ შემოწმება ჩატარდა კვლევის ჯგუფის წევრებისა და ციხის ადმინისტრაციის მიერ.

დასვენება“ განმარტავს, რომ „27.3 სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს. 27.4 სასჯელადსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობა ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფის მეშვეობით“.

კვება

კვებას გამოკითხულთა უმრავლესობა კარგად აფასებს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც თვითონ გამზადების ხარისხს უარყოფითად აფასებენ და აღნიშნავენ, რომ „წიწიბურა წყლიანი და უგემურია, მაკარონი - ცუდად მოხარშული“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გამოკითხულმა მიუთითა კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე ბოლო პერიოდში, ანუ მოქმედი ხელმძღვანელის დანიშვნის (ინტერვიურების დროისათვის) შემდეგ, მანამდე, რესპონდენტების გადმოცემით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც საკვები გაფუჭებული იყო.

განსაკუთრებით გამოიკვეთა ერთი გარემოება, რომ დიეტური საკვების მიღების შესაძლებლობა არ არის, კერძოდ, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ შაქრიანი დიაბეტით არის დაავადებული და იგი სპეციალურ აღრიცხვაზე არ აუყვანიათ. აღნიშნული დაავადების მქონე მსჯავრდებულის

ყოფნა ციხის ექიმმა⁹ დაადასტურა. თუმცა ევროპული ციხის წესები, თავში „კვება“, პუნქტი 22.6 განსაზღვრავს, რომ „ექიმმა ან კვალიფიციურმა მედლამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისათვის, როდესაც ეს სამედიცინო მოსაზრებით საჭიროა“.

რაც შეეხება დამატებით საკვებს, ამანათით შეუძლიათ მიიღონ ხილი და წვენი, დანარჩენი პროდუქტების შექმნა შეუძლიათ ადგილობრივ მაღაზიებში, რაც ბევრ მათგანს არ ხელეწიფება, რადგანაც არ აქვს ისეთი ოჯახური მდგომარეობა, რომ ოჯახის წევრებმა შეძლონ მის ანგარიშზე თანხის გადმორიცხვა. მსჯავრდებულები ყველაზე აღშფოთებით გამოხატავენ პროტესტს იმის გამო, რომ არც ამანათით და არც მაღაზიაში არ იყიდება კიტრი, პამიდორი, ყავა და ჩაი, რაც აიკრძალა სიტყვიერი მითითებით და ამ აკრძალვასთან დაკავშირებით ბრძანება არ არსებობს. ყავის და ჩაის აკრძალვას ძალიან მტკივნეულად გამოხატავენ ყოველი მათგანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის აკრძალვები ანკეტირების პერიოდისათვის სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ შეინიშნებოდა, ასევე აღსანიშნავია, რომ ეს აკრძალვები არ განიხილება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

⁹ იხ. თავი „სამედიცინო მომსახურება“. ექიმთან ინტერვიუ ჩატარდა 2008 წლის 10 ივლისს.

სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო მომსახურებას რესპონდენტები სხვადასხვაგვარად აფასებენ. რიგი რესპონდენტებისა მას აფასებს დამაკმაყოფილებლად, რიგი - საშუალოდ და რიგი კი - ცუდად, კერძოდ, ექიმს მიღების დღეები არ აქვს, მაგრამ გამოძახების შემთხვევაში ისინი ცხადდებიან უპრობლემოდ, ან მორიგე თანამშრომელს ჩაჰყავს ექიმთან ის მსჯავრდებული, რომელსაც რაიმე ჩივილები აქვს.

პერსონალის მომსახურებას ისინი დადებითად აფასებენ. რაც შეეხება მედიკამენტებით მომარაგებას, ყოველი გამოკითხული პირი აღნიშნავს, რომ ის არ არის დამაკმაყოფილებელი, ხშირ შემთხვევაში ექიმებს არ აქვთ საჭირო მედიკამენტი და მისი მოტანა მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს უწევთ.

განსაკუთრებულ პრობლემად სტომატოლოგიური მომსახურება გამოიკვეთა, კერძოდ, დაწესებულებას ჰყავს სტომატოლოგი, რომელსაც არ აქვს ე. წ. „ბორმანქანა“. მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ მათ იმ კბილის ამოღება უწევთ, რომელიც არ არის ამოსადები, რადგან მისი მკურნალობა შეუძლებელია. ხელსაწყოების ნაკლებობა ასევე პრობლემად იქნა დასახელებული ციხის ექიმის მიერ¹⁰.

¹⁰ ინტერვიუ ციხის ექიმთან ჩატარდა 2008 წლის 10 ივლისს.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების სამედიცინო მომსახურების თავეში, 22-ე მუხლის (2) და (3) პუნქტებში აღნიშნულია, რომ (2) „ციხის საავადმყოფოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისათვის და მათი მკურნალობისათვის საჭირო დანადგარები, პრეპარატები და მედიკამენტები, აგრეთვე უნდა ჰყავდეთ საკმარისად კვალიფიციური პერსონალი. (3) თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით“.

რაც შეეხება დაწესებულების გარეთ საავადმყოფოში გადაყვანას, №6 საპყრობილეში განთავსებულ უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირთაგან, მხოლოდ ერთი მსჯავრდებული იქნა გადაყვანილი, რომელსაც გაუკეთდა ოპერაცია, სხვა პრეცედენტი არ ყოფილა¹¹. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „პირადი ექიმის შემოყვანის პრობლემაა, შესაძლებელია მარტო სისტემის ექიმის გამოძახება“.

№6 საპყრობილის მთავარმა ექიმმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, ფსიქიკური გართულებებით არის მხოლოდ ერთი პატიმარი, ერთი დაავადებულია ტუბერკულოზით, რომელმაც მკურნალობის კურსი გაიარა, ერთს

¹¹ ინტერვიუ ციხის ექიმთან ჩატარდა 2008 წლის 10 ივლისს.

გაუკეთდა ქირურგიული ოპერაცია და გადაყვანილ იქნა ქალაქის საავადმყოფოში, ერთ მსჯავრდებულს აქვს დიაბეტი და მოწმდება სისტემატურად, თუმცა მოცემულმა მსჯავრდებულმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ არ არის აყვანილი აღრიცხვაზე როგორც დაავადებული და არ ეძლევა დიეტური საკვები, რაც ეწინააღმდეგება ექიმის განმარტებას.

№5 დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, სამედიცინო მომსახურება არის 24-საათიანი და საჭიროების შემთხვევაში, მათი გადაყვანა მოხდება ფართო პროფილის ქალაქის საავადმყოფოში.

სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას რესპონდენტები დადებითად აფასებენ, თუმცა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „სასმელი წყალი უვარგისია, იკეთებს ნალექს და შმორდება“.

ყველა გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ შემოყვანის დროს სამედიცინო შემოწმება არ გაუვლია, მან გაიარა მხოლოდ გარეგანი დათვალიერება. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, მას საპრობილეში შეყვანის დროს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები, რომელიც არ დაფიქსირებულა.

რეჟიმის სამსახურის უფროსის განმარტებით, შემოყვანისას მსჯავრდებულები გადიან სამედიცინო შემოწმებას და ასევე ეცნობიან უფლებამოვალეობებს. ოპერატიული მორიგე უკითხავს უფლებებს და აწერინებს ხელს, თუ აქვს სურვილი, შეუძლია თვითონ წაიკითხოს, აღნიშნულ ფაქტს არ

ადასტურებენ №6 საპრობილის მსჯავრდებულები. რაც შეეხება №5 დაწესებულებას, დირექტორის განმარტებით, მსჯავრდებულებს შემოყვანისთანავე ეცნობათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, რომელიც ასევე გამოკრულია მათ საკნებში. ასევე მსჯავრდებულს კონსულტაციის მიზნით ხვდება სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და უტარდებათ სამედიცინო შემოწმება.

კავშირი გარე სამყაროსთან

ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობა უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირებს ეძლევათ წელიწადში ოთხჯერ, 1 საათის ხანგრძლივობით. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ეს დრო შემოიფარგლება 45 წუთით. ოჯახის წევრებთან შეხვედრების პრობლემას რესპონდენტები 4 კონტექსტში განიხილავენ:

ა) შეხვედრა ხდება ტიხარის მეშვეობით, რაც აბსოლუტურად მიუღებლად მიაჩნიათ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა შეხვედრის პროცესი აღწერა შემდეგნაირად: „არ გვაქვს უშუალო კონტაქტი ოჯახის წევრებთან, რადგან ჩვენს შორის მინის კედელია“;

ბ) მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა გრძელვადიანი პაემნის აკრძალვას მწვავედ განიცდის და აღნიშნავს, რომ ფაქტობრივად ეს პროცესი გახდა საფუძველი მათი ოჯახების დანგრევის, ან მათი განმარტებით, თუ

დღეს ეს არ მომხდარა, უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება;

გ) შეხვედრაზე დასაშვებ პირთა შეზღუდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები ვერასდროს შეხვდებიან ისეთ ახლო ნათესავეებს, როგორცაა დეიდა, მამიდა, ბიძა, ბიძაშვილი და ა.შ.;

დ) ბოლოს კი, განსაკუთრებულად ხაზი გაესვა 2007 წელს კანონში შესულ ცვლილებას (2006 17 10, №3630), რომლის თანახმადაც მსჯავრდებულის პაემნის შესახებ ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს 5 სამუშაო დღით ადრე, რაც პრობლემას უქმნის შორიდან შეხვედრაზე მოსულ პირებს, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა 5 დღეში ორჯერ ჩამოვიდნენ სასჯელის მოხდის ადგილზე, რაც პრობლემას უქმნის მათ როგორც ეკონომიკურად, ასევე ფიზიკურად.

ევროპული ციხის წესები განმარტავს, რომ პუნქტი - 24.4 „პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში“, რასაც მკვეთრად ეწინააღმდეგება ოჯახთან შესაძლო ურთიერთობის არსებული სისტემა, რაც გარდა იმისა, რომ არის ხარვეზი პრაქტიკაში გამოყენებული წესების მიხედვით, ასევე იგი წარმოადგენს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის ხარვეზს, რომელშიც 2006 წელს შეტანილმა ცვლილებებმა

მკვეთრად გაამკაცრა, შეზღუდა და გაართულა მსჯავრდებულების ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციის გამოკითხულ წარმომადგენელთა აზრი სხვადასხვაგვარია მსჯავრდებულის პაემანთან მიმართებით, კერძოდ, თავმჯდომარის მოადგილე სოციალურ საკითხებში განმარტავს, რომ მოკლევადიანი პაემნები ტიხარის მეშვეობით ხდება, რათა მსჯავრდებულებმა შეიგრძნონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე, რაც შეეხება გრძელვადიან პაემნებს, იგი განმარტავს, რომ გრძელვადიანი პაემნები კარგი მექანიზმია ციხის მართვისათვის, მაგრამ თუ მენეჯმენტი არ არის აწყობილი, ანუ არის კორუფციის ალბათობა, ასეთ შემთხვევაში, იქნება რთული, ამდენად არ არის მომხრე გრძელვადიანი პაემნებისა.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, შეხვედრის პირობები უნდა იყოს განსხვავებული ტიხარით და ტიხარს მიღმა ადმინისტრაციას უნდა მიეცეს საშუალება მსჯავრდებულის ქცევის მიხედვით განსაზღვროს რომელი ტიპის პაემანი ჰქონდეს მას, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიანი პაემნების აკრძალვას, იგი განმარტავს, რომ გრძელვადიანი შეხვედრების აკრძალვა გამოწვეულია აკრძალული ნივთების გადაცემის პრევენციის მიზნით.

საპრობილის დირექტორი აღნიშნავს, რომ შეხვედრა ოჯახის წევრებთან უწევთ წელიწადში ოთხჯერ. შეხვედრის აკრძალვის შემთხვევა არ ყოფილა, დირექტორს უფლება აქვს მისცეს ერთი დამატებითი პაემანი, რომელიც გამოიყენება.

მსჯავრდებულები არ გამოთქვამენ პრეტენზიას იმ გარეშე პირების შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, კერძოდ, ადვოკატი, რელიგიის წარმომადგენელი, სახალხო დამცველის წარმომადგენელი. თუმცა ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც იყო სომეხი ეროვნების, აღნიშნა, რომ არ ჰქონია შემთხვევა შეხვედროდა თავისი რელიგიის წარმომადგენელს.

უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულებს არ გააჩნიათ ტელეფონით სარგებლობის პრობლემა, ანუ №6 საპრობილეში მყოფ პირებს ტელეფონით სარგებლობა შეუძლიათ ყოველ მეორე დღეს 15-15 წუთით, თუმცა მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ 15 წუთი არ არის საკმარისი დრო. რაც შეეხება ქალთა დაწესებულებას, უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულებს ტელეფონით სარგებლობის პრობლემა არ გააჩნიათ.

პრესისა და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულებს მეტ-ნაკლებად გააჩნიათ, ანუ ყველა საკანში, როგორც ქალებს, ასევე მამაკაც მსჯავრდებულებს აქვთ ტელევიზორი და ხელი მიუწვდებათ პრესის საშუალებებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ მოუტანენ ოჯახის წევრები,

ხოლო რაც შეეხება რადიოს, არ გააჩნიათ. ორივე დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია მსჯავრდებულთათვის.

განცხადებები და საჩივრები

რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ განცხადებებისა და საჩივრების გაგზავნის შესაძლებლობა არის და ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა არც ქალთა №5 დაწესებულებასა და არც №6 საპყრობილეში. უმრავლესობის პასუხი იყო - „არის გაგზავნის შესაძლებლობა“ და ყოველი მათგანი აღნიშნავდა, რომ განცხადებები და საჩივრები იგზავნება სოციალური სამსახურის წარმომადგენლების მეშვეობით. თუმცა ამ სფეროში გამოიკვეთა გამონაკლისი შემთხვევები, კერძოდ, ორმა მსჯავრდებულმა მამაკაცმა აღნიშნა, რომ „რეალურად არ იგზავნება, თუ ადმინისტრაციას ეხება“, „საჩივრების მიღება და გაგზავნა ხდება კვირაში ერთხელ, რაც არაა დამაკმაყოფილებელია, ხშირ შემთხვევაში კონტაქტს ვერ ვამყარებთ სოციალური სამსახურის მუშაკებთან, რადგან კონტროლიორები არ ეძახიან“¹². რაც შეეხება მსჯავრდებულ ქალებს, მათ არ დაუსახელებიათ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა №5 დაწესებულებაში, თუმცა მათ მიერ

¹² გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები „პატიმრების მოპყრობის“ შესახებ, წესი 36(1).

დასახელებული აქტუალური პრობლემა ეხებოდა №2 საპრობილემო მათი ყოფნის პერიოდს, სადაც აღნიშნავდნენ, რომ „ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, განცხადებები კორპუსს გარეთ არ გადიოდა“.

№6 საპრობილიდან განცხადებებისა და საჩივრების კვირაში ერთხელ გაგზავნის ფაქტს ადასტურებს დაწესებულების ადმინისტრაციაც.

მსჯავრდებულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ ყოველ მათგანს გასაჩივრებელი ჰქონდა სასამართლო განაჩენი, თუმცა პასუხი იყო ერთი და იგივე „ადეკვატური პასუხი არ მიმიღია“.

პერსონალთან ურთიერთობა

პერსონალთან ურთიერთობას და მათი მხრიდან მოპყრობას №5 დაწესებულებასა და №6 საპრობილემო მყოფი პირები დადებითად ახასიათებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ ხშირი შეხება აქვთ პერსონალთან, ურთიერთობა ნორმალურია და პრობლემებით არ ხასიათდება. თუმცა, აქ აღსანიშნავია ქალი მსჯავრდებულებისადმი №2 საპრობილემო ყოფნის პროცესში მათდამი მოპყრობა და დამოკიდებულება. ორივე მათგანი აღნიშნავს, რომ ისინი განთავსებული იყვნენ არა იმ განყოფილებაში, სადაც არიან პატიმარი ქალები, არამედ განყოფილებაში, სადაც ხორციელდება პროგრამა „ატლანტისი“ და სადაც მსჯავრდებულები, რომლებიც პროგრამას გადიან, არიან მამაკაცები და

პერსონალიც ძირითადად მამაკაცები არიან, აღნიშნავენ რომ იმყოფებოდნენ „ფსიქოლოგიური ზეწოლისა და შიშის ქვეშ, 6 თვე არ გაუყვანიათ აბანოში“, ერთ-ერთი მათგანი განთავსებული იყო საკანში ფსიქიკურად დაავადებულ მსჯავრდებულთან ერთად.

გამოკითხული მსჯავრდებულები არ აფიქსირებენ პერსონალთან ურთიერთობაში რაიმე პრობლემას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ ურთიერთობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ არც ერთ დაწესებულებაში, სადაც ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულები არიან განთავსებული, არ ჰყავთ სპეციალურად მომზადებული პერსონალი¹³. პერსონალის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებების ადმინისტრაციასთან ინტერვიურების დროს.

№5 დაწესებულების დირექტორის განმარტებით, „პერსონალის შერჩევა კონკრეტულად ამ კატეგორიის მსჯავრდებულებთან სამუშაოდ არ ხდება, მათ ემსახურებიან ჩვეულებრივ საპყრობილის თანამშრომლები, რომლებიც რაიმე განსაკუთრებული სახის მომზადებას არ გადიან. ურთიერთობა მსჯავრდებულებსა და პერსონალს შორის ნორმალურია, მათ რაიმე შეზღუდული ან დაძაბული ურთიერთობა არ აქვთ“.

¹³ ინტერვიუ №5 საპყრობილის ადმინისტრაციასთან, 2008 წლის ივლისი.

ანალოგიურ განმარტებას იძლევა №6 საპერობილის ადმინისტრაცია: „ცალკე გამოყოფილი პერსონალი, რომელიც უვადოებთან მუშაობს, ასეთი კატეგორია არ არის, ესენი არიან ჩვეულებრივი რეჟიმის და უსაფრთხოების თანამშრომლები. პერსონალის შერჩევა ხდება ადგილზე ადმინისტრაციის მიერ, უფრო სწორად, საუკეთესო კადრები ირჩევა არსებულიდან და მათი მიმაგრება ხდება მოცემულ კატეგორიასთან, თანამშრომლები ირჩევიან ნამსახურობის, თვისებების, ხასიათის მიხედვით, უნდა იცოდეს მათთან მუშაობა. პერსონალსა და მსჯავრდებულებს შორის ურთიერთობა ნორმალურია და რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია“.

შეწყალება და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობა

ყველა გამოკითხულმა რესპონდენტმა იცოდა, რომ მსჯავრდებულს, რომელსაც სასამართლოს მიერ მიესაჯა სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთით, აქვს უფლება მიმართოს პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით, ან გათავისუფლებულ იყოს სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე. თუმცა მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა იცოდა, რომ ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობა მათ შეიძლება ჰქონდეთ სასჯელის არანაკლებ 25 წლის მოხდის შემდეგ. რესპონდენტების პასუხები მოცემულ შეკითხვაზე იყო შემდეგი: „ჩემი ვერსიით, შეწყალება - 15 წელიწადში, ვადაზე ადრე გათავისუფლება - 25 წელიწადში“, პირველ

ვერსიასთან დაკავშირებით აქვე განმარტავს, რომ 15 წელი საკმარისი დროა და მეტი საჭირო არ არის; შემდეგი პასუხი „15-20 წელი“; „შეწყალებაზე გაგზავნის უფლება - 20-25 წელიწადში“, პასუხები ამ უკანასკნელ კითხვაზე, ხშირ შემთხვევებში რეკომენდაციის სახესაც იღებს და ისინი უთითებენ საკუთარ ვერსიებს, თუ რამდენ ხანში უნდა მოხდეს ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულების საქმეების გადახედვა, რადგანაც დროთა განმავლობაში ამ მსჯავრდებულების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი კლებულობს. მაგალითად: „მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ყოველ 5 წელიწადში საქმეების გადახედვის მოთხოვნის უფლება“, ან „საქმეების გადახედვის საჭიროება ყოველ 10 წელიწადში“. რაც შეეხება მსჯავრდებულებს, რომლებმაც არ იცოდნენ მათი ამ უფლებების არსებობის შესახებ, აღნიშნავდნენ, რომ არ გააცნეს მათ თავისი უფლება-მოვალეობები.

შეკითხვაზე, თუ როგორ ფიქრობენ ეს ადამიანები, თუ რა ვადაში იქნებოდა მიზანშეწონილი სისხლის სამართლის საქმის გადახედვა მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით, პასუხები არაერთგვაროვანი იყო როგორც მსჯავრდებულთა მხრიდან, ასევე პერსონალის მხრიდანაც. აღსანიშნავია მოსამართლის¹⁴ აზრი, ინტერვიურებისას დასმულ შეკითხვაზე მან განმარტა, რომ სასჯელის შემსუბუქებაზე ფიქრი 10

¹⁴ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ლევან მურუსიძე. მოსამართლესთან ინტერვიუ ჩატარდა 2008 წლის აგვისტოში.

წლის შემდეგ იქნებოდა მიზანშეუწონელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, თუმცა შესაძლებელია ეს იყოს 15 წელი, მაგრამ აქვე კანონში უნდა განისაზღვროს ვის მიენიჭება ეს უფლებამოსილება (სასამართლო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და ა.შ.).

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიდგომაც მოცემული საკითხისადმი იყო არაერთგვაროვანი, შეკითხვაზე – შეწყალებასთან დაკავშირებით არ არის კანონით დადგენილი თუ როდის ეკუთვნის უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებს შეწყალება, როგორია თქვენი აზრი და არის თუ არა ადეკვატური დრო სასჯელის მოხდის 25-წლიანი ვადა იმისათვის, რომ პირმა მიიღოს შეღავათი?

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – შეწყალებებთან ან სხვა შეღავათებთან დაკავშირებით სასურველია და მისაღები უცხოეთის პრაქტიკა სხვადასხვა დადებითი მაჩვენებლების მიხედვით, მაგალითად:

1. კარგად მუშაობა;
2. კარგად სწავლა;
3. სხვა მახასიათებლები, რომელიც აჩვენებს სასჯელის მოხდის პერიოდში არის თუ არა პირი ორიენტირებული გამოსწორებისკენ.

ამ მონაცემების გათვალისწინებით, სასჯელის გარკვეული ვადის მოხდის შემდეგ, უნდა იყოს შესაძლებელი პირი გადაიყვანონ ნაკლებად მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

მაგალითად, ქალის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ასაკის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება, ასევე გადამწყვეტი უნდა იყოს ადმინისტრაციის აზრი ამ პირის მიმართ.

თუ საქართველოში შეიქმნება ახალი კატეგორიის დაწესებულებები, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაიაროს დახურული ტიპის დაწესებულება, შემდგომში ინდივიდუალურად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ყოველ პირზე თუ რომელი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა მოხდეს პირის გადაყვანა სასჯელის მოსახდელად.

№5 დაწესებულების დირექტორი - „25 წელი ვადამდე ადრე გათავისუფლების მოთხოვნისათვის ძალიან ბევრია. მათ მიმართ შეღავათის გავრცელება საქციელის გათვალისწინებით, ან საქმის გადახედვით უნდა ხდებოდეს“.

№6 საპრობილის ადმინისტრაცია - „მსჯავრდებულს შეწყალებაზე მიმართვის უფლება უნდა ჰქონდეს, სავარაუდოდ, სასჯელის 20 წლის მოხდის შემდეგ ადმინისტრაციის დახასიათების საფუძველზე“.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ზოგადად და განსაკუთრებით კი, უვადო თავისუფლებააღკვეთილი

პირებისათვის არ არის ხელმისაწვდომი განათლების, დასაქმების და სხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა, ამდენად ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით მსჯავრდებულთა შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია, საჭიროა მოიძებნოს სხვა ალტერნატივები, რაც უფრო მოქნილს გახდის აღნიშნულ პირთა მიმართ შეღავათების გავრცელების საკითხის განხილვის შესაძლებლობას.

ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები

1999 წლის 22 ივლისს სიკვდილით დასჯის საბოლოოდ გაუქმების შემდეგ, შემუშავდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის ივნისში. აღნიშნული კოდექსით საქართველოს სისხლის სამართალწარმოების სფეროში დაინერგა სასჯელის ახალი ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ფაქტობრივად იყო სიკვდილით დასჯის ალტერნატიული ღონისძიება, რადგანაც სასჯელის ეს ზომა გამოიყენება იმ დანაშაულებზე, რომელზეც გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა და იგი ბევრად უფრო მეტი დანაშაულების შემთხვევაში გამოიყენება ვიდრე სიკვდილით დასჯა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენებისაგან განსხვავებით, სადაც მოსამართლეს კანონი ზღუდავდა აღნიშნული სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას შეზღუდვა მოსამართლის მიმართ კანონით ძალიან მცირეა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლით „უვადო თავისუფლების აღკვეთა“ განსაზღვრულია, მისი გამოყენების სტანდარტები: „1. უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის; 2. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი“. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით იმ მუხლების ნუსხა, რომელზეც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, შემდეგია:

1. თავი XIX – დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ¹⁵;

2. თავი XXIII – დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ¹⁶;

3. თავი XXX – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ¹⁷;

¹⁵ მუხლი 109 „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში“ (III ნაწილი).

¹⁶ მუხლი 143² „არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – ცვლილება 25.07.06 №3530“ (IV ნაწილი).

4. თავი XXXIII – ნარკოტიკული დანაშაული¹⁸;

5. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, თავი XXXVII – დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ¹⁹;

6. თავი XXXVIII - ტერორიზმი²⁰;

¹⁷ მუხლი 227² „სტაციონარული პლატფორმის

მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება“ (ნაწილი III; ცვლილება 25 07 06 №3542).

¹⁸ მუხლი 260 „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“ (ნაწილი III; ცვლილება 25 07 07 №3530); მუხლი 260 „საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა“ (ნაწილი IV; ცვლილება 25. 07. 06 № 3530).

¹⁹ მუხლი 308 „საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა“ (ნაწილი II; ცვლილება 2804 06 №2937); მუხლი 318 „საბოტაჟი“ (ნაწილი III; ცვლილება 28 04 06 №2937).

²⁰ მუხლი 323 „ტერორისტული აქტი“ (ნაწილი III; ცვლილება 25. 07. 06 №3530); მუხლი 324 „ტექნოლოგიური ტერორიზმი“ (ნაწილი II; ცვლილება 25. 07. 06 №3542); მუხლი 324¹

„კიბერტერორიზმი“ (ნაწილი II; ცვლილება 25. 07. 06 №3530);

მუხლი 325 „საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა“ (ცვლილება 25. 07. 06 №3530); მუხლი 326

„საერთაშორისო დაცვის მოსარგებლედ პირზე ან

დაწესებულებაზე თავდასხმა“ (ცვლილება 25. 07. 06 №3530);

მუხლი 330 „სტრატეგიული ან განსაკუთრებული

მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდება ან ბლოკირება

ტერორისტული მიზნით“ (ცვლილება 25. 07. 06 №3530); მუხლი

331¹ „ტერორიზმის დაფინანსება“ (ცვლილება 25. 07. 06 №3530).

7. დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, თავი XI.VII - დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ²¹.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეულ ნორმებს, რომლებიც ადგენს შეზღუდვებს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ, 81-ე მუხლის, „იძულებითი დაცვა“, თანახმად, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ეკრძალება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე თუ: პუნქტი დ) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მუხლი 284 „ბრალდების წაყენება“, ადგენს პროკურორის მონაწილეობას დაკითხვის პროცესში, კერძოდ, ნაწილი 3. „... იმ პირთა საქმეებზე, რომელთაც შეიძლება დაენიშნოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე, თუ ბრალდებული ან მისი წარმომადგენელი

²¹ მუხლი 404 „აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება“ (ნაწილი II; ცვლილება 28 04 06 №2937); მუხლი 407 „გენოციდი“ (ცვლილება 28 04 06 №2937); მუხლი 408 „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ“ (ცვლილება 28 04 06 №2937); მუხლი 409 „ეკოციდი“ (ნაწილი II; ცვლილება 28 04 06 №2937); მუხლი 411 „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს“ (ნაწილი II).

შუამდგომლობენ, პროკურორის მონაწილეობა დაკითხვაში სავალდებულოა“ (ცვლილება 16 12 2005 №2265).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს სასამართლო გამოძიების გაუქმების, შეკვეცის ან გაგრძელების საკითხის გადაწყვეტას, კერძოდ, 473-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს: „სასამართლო გამოძიების გაუქმება, შეკვეცა დაუშვებელია, თუ განსასჯელს არ შესრულებია 16 წელი, ფსიქიკური ნაკლი აქვს ან ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა...“; ასევე საპროცესო კანონმდებლობა უწევს შეზღუდვას მოსამართლეებს გადაწყვეტილების მიღების დროს, კერძოდ, მუხლი 500 „მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი“, ნაწილი მე-4: „საკითხი წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად“.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ადგილას განთავსებისა და

სასჯელის მოხდის პირობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ძალიან მოკლედ და მშრალად განსაზღვრავს უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულთა ყოფნის პირობებს, რომელიც მხოლოდ მოიაზრებს თუ სად უნდა მოთავსდნენ ამ კატეგორიის მსჯავრდებულები, რამდენი პაემანი ეკუთვნით და რა სახის დისციპლინური სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ მიმართ, მიუხედავად მათ მიმართ გამოყენებული სასჯელის სიმძიმისა და განსაკუთრებული ხასიათისა (ხანგრძლივობისა).

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს მსჯავრდებულები კანონის თანახმად თავსდებიან სხვა კატეგორიის მსჯავრდებულებისაგან იზოლირებულად და ასევე აწესებს სპეციალურ სტანდარტს მათთან კონტროლის განსახორციელებლად კერძოდ მოცემული კანონი მუხლი 77 „უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულების ყოფნის თავისებურებანი“ პირველი ნაწილი განსაზღვრავს თუ რა პირობებში უნდა მოთავსდნენ უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირები, „1. უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულებს ამყოფებენ სადღეღამისო დაკავების საკნებში, სადაც შესაძლებელია მუდმივი ვიზუალური კონტროლი“, რაც აშკარად უსვამს ხაზს ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულთა კანონის მიხედვით განსაკუთრებულ კატეგორიად განხილვას, მიუხედავად ამისა კანონი არ განმარტავს მათ ყოფნის პირობებს, გარე სამყაროსთან

ურთიერთობას, რეაბილიტაციის, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების თავისებურებებს და ა.შ.

ასევე მწირია იმ დებულების სტანდარტები, რომელიც არეგულირებს საპრობილის მუშაობის თავისებურებებს, ანუ იმ დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, რომლის ერთ-ერთ დანაყოფში უნდა მოთავსდნენ უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები. თუ ჩავთვლით, რომ გარდა იმ სტანდარტებისა, რომელიც კანონში გამოყოფილად არის აღწერილი სხვა ყველა უფლება და პირობები ანალოგიურია სხვა მსჯავრდებულების პირობებისა, რაც კვლევის შედეგად გამოვლენილ რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება, ასეთ შემთხვევაშიც კანონმდებლობის ანალიზი და მისი შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ კი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მიღებულ „ციხის პენიტენციურ წესებთან“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1955 წელს მიღებულ „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებთან“, გვაძლევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას.

განთავსება

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი „მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსება“, I ნაწილი, რომელიც განმარტავს, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვის ათავსებენ ცალკე, რომლის დ – ქვეპუნქტი

უთითებს, რომ სხვა მასისაგან ცალკე ათავსებენ „უვადო თავისუფლებააღკვეთილებს“, აღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ სტანდარტებს, რადგანაც ციხის პენიტენციური წესების 18.8 პუნქტი და მინიმალური წესების მე-8 წესი, სადაც განხილულია კატეგორიების მიხედვით პატიმართა მოთავსება, ასეთ დიფერენცირებას არ სცნობს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლი „მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელს იხდიან საპრობილემო“ განსაზღვრავს, რომ „1. საპრობილემო თავისუფლების აღკვეთის მოხდა შეეფარდება პირს, რომელიც მსჯავრდებულია უვადო თავისუფლების აღკვეთით...“, თუმცა აქ არ არის მითითებული თუ საპრობილის რომელი რეჟიმით უნდა მოიხადონ სასჯელი ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულებმა და რომელი რეჟიმისათვის გათვალისწინებული პირობები შეესატყვისება მათ ყოფნის პირობებს, რადგანაც ამავე კანონმდებლობის თანახმად, საპრობილემო დაყოფილია ორ რეჟიმად - საპრობილის საერთო და საპრობილის მკაცრი რეჟიმი (მუხლი 78, საპრობილის რეჟიმის სახეები).

დისციპლინა და სასჯელი

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სასჯელი უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება, ასევე ციხის პენიტენციური წესები აღგენს

მოთხოვნას, თუ რა სტანდარტებს უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ:

„57.2 ეროვნული კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს, რომ:

ა. პატიმარი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული იმ ენაზე, რომელიც გასაგებია მისთვის და დეტალურად ჰქონდეს მიწოდებული ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელშიც ედება ბრალი;

ბ. პატიმარს გააჩნდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დასაცავად;

გ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს;

დ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი მოითხოვოს დამსწრეების დასწრება და მოითხოვოს მათი დაკითხვა და;

ე. პატიმარს გააჩნდეს თავისუფალი ხელმისაწვდომობა თარჯიმანზე, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ისაუბროს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლო მოსმენისას”.

აღნიშნულ მოთხოვნას ეწინააღმდეგება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც განმარტებულია, რომ „რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის მსჯავრდებულს

(საუბარია უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირზე) შეიძლება დისციპლინური სასჯელის სახით განესაზღვროს: ა) საყვედური; ბ) საფოსტო გზავნილების მიღების და გაგზავნის აკრძალვა; გ) კარცერში მოთავსება ვადით სამიდან ოც დღემდე“. ანალოგიურად, არასათანადოდ არის განხილული კანონში დისციპლინური სასჯელების გამოყენების წესი, ზოგადად, ყველა მსჯავრდებულის მიმართ (მუხლი 30), სადაც არ არის საუბარი გასაჩივრების წესზე და ინსტანციებზე, რომელსაც შეუძლია მიმართოს სასჯელდადებულმა პირმა, ასევე დაცვის უფლებაზე, თარჯიმნით სარგებლობაზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიურების დროს რიგი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ დისციპლინური სასჯელის ფორმა უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირების მიმართ არის არა ადგილზე კარცერში მოთავსება, არამედ მათი გადაყვანა №7 საპყრობილეში.

ყველა საერთაშორისო სტანდარტიდან და ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან განსხვავდება ის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულ იქნა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 29 ივნისს შესული ცვლილებით, რომლითაც კანონს დაემატა ხუთი ახალი მუხლი (30¹; 30²; 30³; 30⁴; 30⁵). აღნიშნულმა ცვლილებამ შემოიღო ადმინისტრაციული პატიმრობის ინსტიტუტი, რომელიც მსჯავრდებულს შესაძლებელია დაეკისროს 90 დღემდე ვადით და ეს ვადა არ შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში,

ანუ ის სასამართლო განაჩენით დადგენილ სასჯელს ემატება.

საყოფაცხოვრებო პირობები

საყოფაცხოვრებო პირობების ნაწილში უვადო თავისუფლებაა დაკვეთილ პირთა ყოფნის პირობები ცალკე განხილული არ არის, ამასთან საერთო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმებიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, მუხლი 33, ნაწილი 4: „საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყობს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას“, თუმცა აქ არ არის მითითებული თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს განათება და ვენტილაცია, როგორც ეს განხილულია მინიმალურ წესებში, კერძოდ, წესი 11 - (ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის სინათლეზე და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

ევროპული ციხის წესები განსაზღვრავს მსჯავრდებულის საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდეგ სტანდარტებს:

„24.4 პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები, შეძლებისდაგვარად, ნორმალურ გარემოში. 24.5 ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით“.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, უთითებს, რომ „უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს წლის განმავლობაში ჰქონდეს არა უმეტეს ოთხი პაემნისა (ცვლილება 28. 04. 2006)“.

აქვე აღსანიშნავია, რომ პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს, პაემნის შესახებ თხოვნა პაემანზე მოსულმა პირმა ადმინისტრაციას უნდა აცნობოს 5 დღით ადრე. აღნიშნული სტანდარტები არა თუ ხელს უწყობს მსჯავრდებულისა და ოჯახის ურთიერთობას, არამედ პირიქით ხელს უწყობს ამ ურთიერთობების მოშლას. აქვე გასათვალისწინებელია არსებული პრაქტიკა, რომ მსჯავრდებულები ოჯახის წევრებს ხვდებიან გადატიხრულ ოთახში, სადაც მათ პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა არ აქვთ. ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობამ მკვეთრად შეამცირა იმ პირთა წრე, რომელსაც უფლება აქვს შეხვდეს მსჯავრდებულს. „პატიმრობის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის „შეხვედრა ოჯახის წევრებთან და ახლო

ნათესავებთან“ 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს შეხვედრაზე დასაშვებ პირთა წრეს „მეუღლეს, მშობელს, ბებიას, პაპას, შვილს, მშვილებელს, შვილობილს, დას, ძმას, აგრეთვე მათ ვისთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობამდე 2 წლის განმავლობაში“. აღნიშნული პუნქტი ეწინააღმდეგება მინიმალური სტანდარტული წესების წესი 37 მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, „აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან“, თუმცა ქართული კანონმდებლობით, როგორც უკვე აღინიშნა, აბსოლუტურად გამორიცხულია ურთიერთობა მეგობრებთან და ნათესავებთან, რომლებიც არ შეადგენენ ოჯახის წევრთა წრეს.

სამედიცინო მომსახურება

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურების ზოგად სტანდარტებს, თუმცა მასში არ არის მითითებული თუ რა კვალიფიკაციის ექიმების ყოფნაა აუცილებელი ზოგადად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მათ შორის დაწესებულებებში, სადაც იმყოფებიან უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები, განსხვავებით ევროპის პენიტენციური წესების მოთხოვნისა, სადაც

მითითებულია, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ფსიქიატრი, სტომატოლოგი და ოკულისტი. ეს ჩამოთვლილი მიმართულებები აბსოლუტურად შეესატყვისება იმ მოთხოვნებს, რომელიც გააჩნიათ მსჯავრდებულებს პრაქტიკულად და რაც დაფიქსირდა ინტერვიურების დროს.

დასაქმება და განათლება

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს დასაშვებია თუ არა უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირებისათვის უზრუნველყოფილი იყოს განათლების მიღება და დასაქმება, მიუხედავად სასჯელის ხანგრძლივობისა კანონმდებლობა ასევე არ განმარტავს მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობას, რაც მკვეთრად ართულებს აღნიშნული კატეგორიის მსჯავრდებულების მხრიდან სასჯელის მოხდის პროცესისადმი ადაპტირებას და მის მომზადებას ასეთი სიმკაცრის სასჯელის მოსახდელად.

რეკომენდაციები

ზემოთ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კვლევათი ჯგუფის რეკომენდაციები შემდეგია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნათლად უნდა იქნეს განსაზღვრული იმ პირის ყველა ინსტანციის

სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება, რომელსაც შეიძლება მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, რათა ამ პირს მიეცეს საშუალება ეფექტურად დაიცვას თავი²²;

2. საქართველოს კანონმდებლობაში („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი), არ არსებობს ცალკე თავი, რომელიც განსაზღვრავს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სასჯელის მოხდის პირობებს: სასჯელის მოხდის რეჟიმი, საცხოვრებელი ფართი, საცხოვრებელი ფართის მოწყობა და სხვა საცხოვრებელი პირობები, საკნის მდგომარეობა და მოწყობილობები. ჩვენ გთავაზობთ ამ ყველაფრის კანონში გათვალისწინებას და განსაზღვრას. ეს მნიშვნელოვანია, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის შეიქმნას ეფექტური გარემო სასჯელის მოსახდელად²³;

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 558; ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ, მუხლი 6(1).

²³ *Recommendation Rec(2003)23; §4; §21; Council of Europe, Committee of Ministers*; ციხის ცხოვრება უნდა იქნეს მოწყობილი ისე, რომ იგი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მიუახლოვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეებს (ნორმალისადაცის პრინციპი); ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური სტიმულაციისათვის შესაფერისი მატერიალური მდგომარეობისა და შესაძლებლობების შეთავაზება; ციხის შენობის, ავეჯისა და დეკორაციის სასიამოვნო და პრაქტიკული დიზაინის შექმნა.

3. მიზანშეწონილი იქნება, შეიცვალოს პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, სადაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები არიან განთავსებული და იგი უნდა მოეწყოს ისე, რომ იყოს შესაფერისი გრძელვადიანი სასჯელის მოსახდელად²⁴;

4. შეიქმნას სისტემატური და მოქნილი მექანიზმი უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმართა საქმეების განსახილველად, პრივილეგიების გამოყენების შესაძლებლობისა და რეჟიმის შეცვლის მიზნით²⁵;

5. გაუმჯობესდეს №6 დაწესებულებაში უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა საცხოვრებელი საკნების განათება და ვენტილაცია (როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური) ისე, რომ საფრთხე არ ექმნებოდეს მსჯავრდებულთა ჯანმრთელობას²⁶;

6. განხილულ იქნეს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის გრძელვადიანი პაემნების უზრუნველყოფის საკითხი და მოეწყოს

²⁴ მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ, ნაწილი 2, წესი 60(1) – „დაწესებულების რეჟიმმა უნდა შეამციროს განსხვავება ციხეში ცხოვრებასა და თავისუფლებაზე ცხოვრებას შორის, რომელიც ამცირებს პატიმრების პასუხისმგებლობას ან მათი, როგორც ადამიანების ღირსების პატივისცემას“.

²⁵ *Recommendation Rec(2003)23, Committee of Ministers, paragraph 11* - „განაჩენის დაგეგმვა უნდა დაიწყოს, რაც შეიძლება ადრე, ციხეში შესვლის შემდგომ, განხილულ იქნეს გარკვეული ინტერვალებით და შეიცვალოს საჭიროებისამებრ“.

²⁶ გაეყროს მინიმალური სტანდარტული წესები „პატიმრების მოპყრობის“ შესახებ, წესი 11 (ა და ბ).

ინფრასტრუქტურა ასეთი ტიპის პაემნების უზრუნველსაყოფად²⁷;

7. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების კვების რაციონში გათვალისწინებულ იქნეს დიეტური კვება სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარებული საჭიროებების კვლევის შედეგების გათვალისწინებით²⁸;

8. პრეზიდენტისადმი შეწყალების მოთხოვნა ხელმისაწვდომი გახდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის მანამ, სანამ იგი მოიხდის სასჯელის 25 წელს, როგორც ეს შეწყალების შესახებ მიმდინარე ბრძანებულებით არის დარეგულირებული²⁹;

9. უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის იმ მინიმალური ვადის (25 წელი) შემცირება, რომლის შემდგომაც შესაძლებელია პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების გავრცელება;

²⁷ ევროპული ციხის წესების 24.4 თავი ამბობს: პაემნები უნდა მოეწყოს ისე, რომ პატიმარს მიეცეს საშუალება შეინარჩუნოს და განავითაროს საოჯახო ურთიერთობები, შეძლებისდაგვარად, ნორმალურად; *Recommendation Rec(2003)23, Council of Europe, Committee of Ministers* – წერილები, სატელეფონო ზარები და პაემნები უნდა იქნეს მაქსიმალური ხშირი, პირადი და განმარტოებული.

²⁸ „სამედიცინო პრაქტიკანტმა ან კვალიფიციურმა მედამ უნდა მიუთითოს კონკრეტული პატიმრის კვების რაციონში დიეტური საკვების სამედიცინო თვალსაზრისით საჭიროების შესახებ“.

²⁹ პრეზიდენტის ბრძანებულება შეწყალების გამოყენების წესის შესახებ №277, 2004 წლის 19 ივლისი.

10. №6 საპრობილის ადმინისტრაციის მიერ ზომების მიღება, რათა შეიქმნას უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირების განაცხადებისა და საჩივრების მიღებისა და გაგზავნის ყოველდღიური მექანიზმი³⁰;

11. შესწავლილ იქნეს №2 საპრობილეში უვადო თავისუფლებაადკვეთის მქონე პირთა განთავსების მდგომარეობა და მოპრობის პირობები;

12. პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში დაინერგოს უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირთა სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის პრაქტიკა³¹;

13. მოეწყოს დასაქმების ობიექტები, სადაც უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირებს ექნებათ

³⁰ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპრობის შესახებ, წესი 36(1) - „თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, კვირის ნებისმიერ დღეს მიმართოს თხოვნით ან საჩივრით დაწესებულების დირექტორს ან ოფიცერს, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს იგი“.

³¹ ევროპული ციხის წესები, წესი 106 – განათლების სისტემატური პროგრამა, უნარების გავარჯიშების ჩათვლით, პატიმრების ზოგადი განათლების დონის გაუმჯობესების და ასევე მათ მიერ პასუხისმგებლობით და დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრების წარმართვის მიზნით, უნდა იყოს მსჯავრდებულთა რეჟიმის საკვანძო ნაწილი. ყველა მსჯავრდებული უნდა იქნეს წახალისებული, მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო და მოსამზადებელ პროგრამებში; პატიმართათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოერგოს მათი საპრობილეში დარჩენის სავარაუდო პერიოდის ხანგრძლივობას.

მუშაობის შესაძლებლობა ანაზღაურებადი
სამუშაოთი³²;

14. უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირების სასეირნო ეზოები მოეწეოს ისე, რომ მათ ჰქონდეთ ვარჯიშისა და ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა³³;

15. გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურების დონე, სამედიცინო სამსახურების მედიკამენტებით მომარაგება და შესაბამისი აპარატურით აღჭურვა. ასევე, განხილულ იქნეს უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის მოქნილი მექანიზმის შექმნა და საჭიროების შემთხვევაში პირადი ექიმის ან მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის მიერ მოწვეული ექიმ-სპეციალისტის მოწვევის საკითხი³⁴;

³² Recommendation Rec(2003)23; §10; Council of Europe, Committee of Ministers; - მონაწილეობა სამუშაო, საგანმანათლებლო, მოსამზადებელ და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც ჰქმნიან საპრობილემო დროის მიზანმიმართულად გამოყენების საშუალებას და ზრდიან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრების წარმატებულად გაგრძელების შანსებს.

³³ ევროპული ციხის წესები - „ვარჯიში და დასვენება“, 27 (3-4) - „სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს“; „სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობა ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფის მეშვეობით“.

³⁴ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები „პატიმრების მოპყრობის“ შესახებ – წესი 22 (2-3).

16. გრძელვადიან და უვადო თავისუფლებათა დაცვითი პირებთან მომუშავე პერსონალმა უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება, რომელიც საჭიროა მათი მოვალეობების ხარისხიანად შესასრულებლად, რადგან მათ უწევთ გარკვეულ სირთულეებთან შეჭიდება³⁵.

ანგარიში მოამზადა:

მაია (ზოია) ხასიამ

³⁵ Recommendation Rec(2003)23; §37.a.; Council of Europe, Committee of Ministers.